სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

რექტორის #86-20 ბრძანებით; 16.06.2020

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:

რექტორის #62-21 ბრძანებით; 06.04.2021

რექტორის #100-22 ბრძანებით; 27.06.2022

რექტორის #238-22 ბრძანებით; 09.12.2022

რექტორის #13-23 ბრძანებით; 23.01.2023

რექტორის #142-23 ბრძანებით; 07.09.2023

რექტორის #153-24 ბრძანებით; 30.10.2024

რექტორის #64-25 ბრძანებით; 02.06.2025

რექტორის #48-26 ბრძანებით; 17.03.2026

რექტორის #89-26 ბრძანებით; 07.07.2026

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესი

თბილისი

2026

სარჩევი

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესი 1

თავი I. ზოგადი დებულებები 4

მუხლი 1. მიზანი 4

მუხლი 2. მოქმედების სფერო 4

თავი II. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა და შეფასება 4

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა 4

მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება 5

თავი III. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და წახალისების მექანიზმები 6

მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა 6

მუხლი 6. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების მექანიზმები ... 7

მუხლი 7. დაფინანსების პროცედურა 7

თავი IV. საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსი 8

მუხლი 8. საგრანტო კონკურსის გამოცხადება 8

მუხლი 9. კონკურსის პრიორიტეტები 8

მუხლი 10. საკონკურსო განცხადება 8

მუხლი 11. საკონკურსო კომისია და შეფასება 8

მუხლი 12. ინტერესთა კონფლიქტი 9

მუხლი 13. ვადებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა 9

თავი V. საგამომცემლო გრანტი 9

მუხლი 14. საგამომცემლო საგრანტო განცხადება 9

მუხლი 15. საგამომცემლო საგრანტო განაცხადის განხილვა და შეფასება 10

თავი VI. უნივერსიტეტის ან მასთან დაკავშირებული პირის სახელით მომზადებული საგრანტო და კვლევითი პროექტების წარდგენა და რეგისტრაცია 10

მუხლი 16. ზოგადი დებულებები 10

მუხლი 16. განაცხადის წარდგენაზე უფლებამოსილი პირი 10

მუხლი 17. საგრანტო განაცხადის წარდგენა 11

მუხლი 18. განცხადების განხილვის ვადა და გადაწყვეტილების მიღების წესი 11

მუხლი 19. ინდივიდუალური გრანტის შეტანის წესი 12

თავი VII. სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია 12

მუხლი 20. სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია და ჯილდო 12

დანართი 1.1 13

დანართი 1.2 15

დანართი 1.3 17

დანართი 1.4..... 19
დანართი 1.5..... 23
დანართი 1.6..... 27
დანართი 1.7..... 28
დანართი 1.8..... 30

თავი I. ზოგადი დებულებები

„სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესი“ განსაზღვრავს შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, ხელშეწყობისა და წახალისების მექანიზმებს.

მუხლი 1. მიზანი

ამ წესის მიზნებია:
ა) უზრუნველყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიური კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა, სამეცნიერო საქმიანობის წახალისება;
ბ) საერთო სტრატეგიის ფარგლებში, უნივერსიტეტის, როგორც კვლევითი დაწესებულების, განვითარების ხელშეწყობა, მაღალი დონის კვლევითი პროდუქტის შექმნის უზრუნველყოფა, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ზრდა და განვითარება;
გ) ფაკულტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დეცენტრალიზებული კვლევითი საქმიანობისათვის ინსტიტუციური და აკადემიური გარემოსა და მექანიზმების უზრუნველყოფა, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევას.

მუხლი 2. მოქმედების სფერო

ეს წესი ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალზე, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებსა და სტუდენტებზე.

თავი II. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა და შეფასება

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვაში ჩართულია ფაკულტეტები, აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერი და აკადემიური საბჭო.
2. ფაკულტეტების საბჭოები, აკადემიური პერსონალისა და კვლევითი ერთეულების ხელმძღვანელების ჩართულობით, ფაკულტეტების დეკანებისა და აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერის კოორდინაციით განსაზღვრავს ფაკულტეტების მომავალი სამი წლის კვლევით პრიორიტეტებსა და ძირითად მიმართულებებს.
3. ფაკულტეტების მიერ განსაზღვრული სამწლიანი კვლევითი პრიორიტეტებისა და ძირითადი მიმართულებების შეჯერების შემდეგ აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერი, პრორექტორთან შეთანხმებით, აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს საერთო-საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტებისა და

ძირითადი მიმართულებების შესახებ, რის საფუძველზეც აკადემიური საბჭო განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტებისა და ძირითადი მიმართულებების პოლიტიკას.
4. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტებისა და ძირითადი მიმართულებების პოლიტიკის შესაბამისად, ფაკულტეტების საბჭოები, აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერთან კონსულტაციით, ადგენენ ფაკულტეტების სამეცნიერო-კვლევით სამოქმედო გეგმას, რომლის მიხედვითაც, აკადემიური პერსონალი და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები განსაზღვრავენ თავიანთ ინდივიდუალურ კვლევით გეგმებს.

მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება

1. აკადემიური პერსონალისთვის დადგენილია მინიმალური წლიური და ჯამური სამეცნიერო დატვირთვა, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისათვის დადგენილია მინიმალური წლიური სამეცნიერო დატვირთვა, რომლებიც შედგება აკადემიური კვლევებისა და აკადემიური განვითარების კომპონენტებისაგან. პროფესიული ნიშნით არჩეული აფილირებული აკადემიური პერსონალი თავისუფლდება მინიმალური სამეცნიერო დატვირთვის ვალდებულებისგან. ახალარჩეული აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის მინიმალური სამეცნიერო დატვირთვის ვალდებულება წარმოიშობა მომდევნო სასწავლო წლიდან.
2. ყოველწლიური მინიმალური სამეცნიერო დატვირთვა უნდა შესრულდეს აკადემიური კვლევებისა და აკადემიური განვითარების (დანართი 1.1) კომპონენტების აუცილებელი თანამონაწილეობით. თანამონაწილეობის თანაფარდობას განსაზღვრავს თავად აკადემიური პერსონალი და სამეცნიერო-კვლევითი ერთეული. აკადემიური პერსონალი აკადემიური თანამდებობის შესაბამისად ასრულებს მინიმალურ ჯამურ სამეცნიერო დატვირთვას აკადემიური კვლევის მიმართულებით სპეციალური სქემის მიხედვით (დანართი 1.2). მედიცინის ფაკულტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისათვის, შრომითი ხელშეკრულებითა და რექტორის ბრძანებით შესაძლებელია დადგინდეს განსხვავებული მინიმალური სამეცნიერო დატვირთვა და წახალისების მექანიზმები.
3. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისთვის მინიმალური სამეცნიერო დატვირთვის მოცულობა არის 100 ქულა. ერთეულის მიერ ორგანიზებული აკადემიური კვლევის და აკადემიური განვითარების ყოველი პროდუქტის, აქტივობისა და ღონისძიებისათვის დადგენილია შესაბამისი ქულა (დანართი 1.3).
4. ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევითი გეგმის შესრულების მდგომარეობისა და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისათვის საჭირო მექანიზმების დადგენის მიზნით სასწავლო წლის შუაში, სემესტრებს შორის მენეჯერი ატარებს გამოკითხვას, რომლის შედეგებს აცნობს ფაკულტეტებსა და პრორექტორს.
5. არაუგვიანეს 1 ივლისისა აფილირებული აკადემიური პერსონალი (დანართი 1.4) და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები (დანართი 1.5) ხარისხის მართვის სამსახურს წარუდგენენ სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს.

6. ხარისხის მართვის სამსახური აანალიზებს აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიერ წარდგენილ წლიურ ანგარიშებს აფასებს მათ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და აკადემიურ საბჭოსა და ფაკულტეტის დეკანებს აცნობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს.

თავი III. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და წახალისების მექანიზმები

მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა

1. საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი და მისი სტრუქტურული ერთეულები ზრუნავენ უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და მკვლევრების ინფორმირებულობის დონის გაზრდასა და კვლევითი პროექტებისა და მასში მონაწილეობის შესაძლებლობების თაობაზე.
2. უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების შესახებ, დაინტერესებულ პირებს უტარდებათ კონსულტაციები გრანტების მოძიებაში.
3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნით ტარდება პერიოდული გამოკითხვა სამეცნიერო-კვლევითი საჭიროებების, აკადემიური განვითარების შესაბამისი ღონისძიებების აუცილებლობისა და კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტების გამოსავლენად. გამოკითხვის შედეგების საფუძველზე იგეგმება და ტარდება შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებები.
4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყოფას.
5. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდა (მაგისტრანტები, დოქტორანტები) და გამოცდილ მკვლევართა პროფესიულ განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას. ამ მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს ინდივიდუალური კონსულტაციისა და ტრენინგის ონლაინ მოთხოვნის სერვისი, რომელიც მკვლევრებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ მიზნობრივი მხარდაჭერა პროექტის დაგეგმვის, პუბლიკაციის მომზადების ან საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ეტაპზე.

5.1. მხარდაჭერის სერვისი შეიძლება მოიცავდეს:

ა) კვლევითი პროცესის ზოგად კონსულტირებასა და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას;

ბ) პროფესიული და აკადემიური უნარების განვითარებას;

გ) პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების მხარდაჭერას;

დ) პუბლიკაციასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს;

ე) საერთაშორისო შესაძლებლობებზე კონსულტირებას;

ვ) სხვა პროფესიულ საჭიროებებს, რომლებიც უკავშირდება კვლევით საქმიანობას.

5.2. სერვისი ხელმისაწვდომია ონლაინ ფორმის შევსების გზით. წარმოდგენილი მოთხოვნები განიხილება ინდივიდუალურად. უკუკავშირის ვადა შეადგენს მოთხოვნის მიღებიდან 24 საათს.

მუხლი 6. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების მექანიზმები

აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერისა და ფაკულტეტის დეკანების წარდგინების შემთხვევაში, უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ, რომლებმაც სრულყოფილად და ჯეროვნად შეასრულეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის დადგენილი მინიმალური სამეცნიერო დატვირთვა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი მექანიზმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ერთჯერადი ფულადი ბონუსი;

გ) ფასიანი საჩუქარი;

დ) პრიორიტეტის მინიჭება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისას;

ე) პრიორიტეტის მინიჭება კონფერენციების და კვლევების დაფინანსებისას;

ვ) პრიორიტეტის მინიჭება სტატიებისა და წიგნების ბეჭდვის დაფინანსებისას;

ზ) სამეცნიერო-კვლევითი მივლინების დაფინანსება.

მუხლი 7. დაფინანსების პროცედურა

1. კვლევით პრიორიტეტებს განსაზღვრავს და კვლევების დაფინანსების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოსთან კონსულტაციით, ხოლო სადოქტორო სკოლის შემთხვევაში - სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი.
2. ფაკულტეტისა და სადოქტორო სკოლის მიერ კვლევითი საქმიანობის დაფინანსების გარდა, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, მკვლევრებსა და სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც განიხილავს წინადადებას და წყვეტს დაფინანსების საკითხს.
3. როგორც წესი, განაცხადის განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილია 10 დღიანი ვადა. განსაკუთრებულ შემთხვევებში, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია, განცხადების დაჩქარებული წესით, ერთი დღის განმავლობაში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. დაჩქარებული წესით განხილვაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერის შუამდგომლობით.
4. განაცხადის განხილვისას იგი ფასდება საბჭოს წევრის ან სპეციალურად დანიშნული ექსპერტის მიერ, რომელიც წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებას წერილობით. ექსპერტს შეარჩევს პრორექტორი შესაბამის ფაკულტეტთან კონსულტაციის გზით, თუკი განაცხადის განხილვა შეუძლებელია საბჭოს წევრთა კომპეტენციის ფარგლებში და საჭიროებს სპეციალურ ცოდნას. ექსპერტი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგენს საკუთარ საექსპერტო დასკვნას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
5. განცხადების განხილვაში არ მონაწილეობს საბჭოს წევრი ან ექსპერტი, რომელსაც შეიძლება პირადი დაინტერესება ჰქონდეს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

6. განაცხადთან დაკავშირებით საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება და გასცეს დაფინანსების რეკომენდაცია, განმცხადებელს უარი უთხრას დაფინანსებაზე ან შესთავაზოს განაცხადის დაზუსტება.
7. საბჭოს გადაწყვეტილება არ აბრკოლებს განმცხადებელს, მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს იმავე საკითხზე.

თავი IV. საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსი

მუხლი 8. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

1. საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით, პრორექტორის წარდგინების საფუძველზე, აკადემიური კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერის, შესაბამისი ფაკულტეტებისა და კვლევითი ერთეულების კონსულტაციების შედეგად.
2. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ მომზადებული ყოველწლიური სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშების ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრება პრიორიტეტული საკონკურსო თემატური მიმართულებები.

მუხლი 9. კონკურსის პრიორიტეტები

1. კონკურსის გამოცხადებისას პრიორიტეტი ენიჭება იმ სამეცნიერო მიმართულებებს, რომლებიც რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით ჩამორჩება უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურებს და საჭიროებს დამატებით წახალისებასა და გაძლიერებას.
2. კონკურსის სავალდებულო კომპონენტია პროექტის ფარგლებში მიღებული კვლევითი შედეგების რეიტინგულ (მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე) სამეცნიერო გამოცემაში გამოქვეყნება.

მუხლი 10. საკონკურსო განცხადება

1. საგრანტო პროექტის განხორციელების ვადა შეადგენს არანაკლებ 6 (ექვს) თვესა და არაუმეტეს 1 (ერთ) კალენდარულ წელს.
2. კონკურსის შესახებ განცხადება უნდა იყოს საჯარო, განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) კონკურსის მიზნებს, თემატიკას და მოსალოდნელ შედეგებს;
ბ) მონაწილეობის უფლების მქონე პირთა წრეს;
გ) საპროექტო განაცხადის ბიუჯეტს (ხარჯვითი კატეგორიების მითითებით);
დ) საკონკურსო ვადებს;
ე) შეფასების კრიტერიუმებს, მათ შორის — რეიტინგულ გამოცემაში პუბლიკაციის ვალდებულების შესრულების მექანიზმს.

მუხლი 11. საკონკურსო კომისია და შეფასება

1. საკონკურსო განაცხადებს აფასებს საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება დარგის ექსპერტებისგან და რომლის შემადგენლობასაც ამტკიცებს რექტორი.
2 შეფასება ხდება ფარული რეცენზირების პრინციპების დაცვით.
3. შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება კვლევის ხარისხსა და პუბლიკაციისათვის შერჩეული სამეცნიერო გამოცემის რეიტინგულობაზე. შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: პროექტის სიახლე და ინოვაციურობა (30 ქულა), კვლევის მეთოდოლოგია და ინტერდისციპლინურობა (30 ქულა), ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები (30 ქულა), პროექტის განხორციელებადობა და ბიუჯეტი (10 ქულა). (დანართი 1.6.)
4. დაფინანსების გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა ენიჭება ყველაზე მაღალი ქულით შეფასებულ პროექტს.

მუხლი 12. ინტერესთა კონფლიქტი

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს დაინტერესებული პირი. დაინტერესებად მიიჩნევა, თუ პირი:
ა) განმცხადებლის ნათესავია;
ბ) სამსახურებრივად ექვემდებარება განმცხადებელს;
გ) ჩართულია განმცხადებელთან ერთად კვლევით პროექტში;
დ) მატერიალურად დამოკიდებულია განმცხადებელზე ან აქვს სხვაგვარი ფინანსური დაინტერესება.
2. პირი, რომელსაც ინტერესთა კონფლიქტი ეხება, ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს ამის შესახებ.

მუხლი 13. ვადებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა

თუ ხელმძღვანელი ვერ უზრუნველყოფს კვლევის დასრულებას და პუბლიკაციას მითითებულ ვადაში, იგი ვალდებულია, ვადის ამოწურვამდე წარადგინოს დასაბუთებული განცხადება ვადის 1-3 თვით გაგრძელების თაობაზე. დაუსაბუთებელი დაგვიანების ან შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს გაცემული თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას. ვადის დარღვევის შემთხვევაში მკვლევარი კარგავს შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო დაფინანსებით სარგებლობის უფლებას მომდევნო 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

თავი V. საგამომცემლო გრანტი

მუხლი 14. საგამომცემლო საგრანტო განცხადება

1. საგამომცემლო გრანტის მიზანია აკადემიური და სამეცნიერო ნაშრომების მხარდაჭერასა და გამოქვეყნებას.

2. საგამომცემლო საგრანტო განაცხადის წარდგენა შეუძლია უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და დოქტორანტებს რექტორის მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, ასევე ღია კონკურსის წესით ნებისმიერ დროს აკადემიური საბჭოს სახელზე უნივერსიტეტის კანცელარიაში.

3. განაცხადი უნდა მოიცავდეს ნაშრომის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ინსტიტუციური ღირებულების შესახებ დასაბუთებას, ასევე ინფორმაციას, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი აღნიშნული წიგნის/ნაშრომის გამოცემა უნივერსიტეტისთვის. (დანართი 1.7.)

მუხლი 15. საგამომცემლო საგრანტო განაცხადის განხილვა და შეფასება

1. წარმოდგენილი საგამომცემლო განაცხადისა და ნაშრომის რეცენზირების პროცესს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: პრორექტორი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიური კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერი, ფაკულტეტის დეკანები.

2. რეცენზენტი უნდა იყოს შესაბამისი დარგის ექსპერტი და არ უნდა გააჩნდეს ამ წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი. დადებითი რეცენზიის შემთხვევაში რეცენზია წინასიტყვაობის ან რეზიუმეს სახით შესაძლებელია დაერთოს გამოცემას.

3. რეცენზენტის შეფასების საფუძველზე საგამომცემლო საბჭო შუამდგომლობს აკადემიურ საბჭოსთან განაცხადის დაფინანსების თაობაზე.

თავი VI. უნივერსიტეტის ან მასთან დაკავშირებული პირის სახელით მომზადებული საგრანტო და კვლევითი პროექტების წარდგენა და რეგისტრაცია

მუხლი 16. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საბაუნის სახელით საგრანტო განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებულ წესებსა და პირობებს, ასევე პირის მიერ საბაუნის აფილაციით მომზადებული პროექტების უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში რეგისტრაციის პროცედურულ წესებს.
2. საგრანტო განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები, რომლებსაც არ არეგულირებს წინამდებარე დოკუმენტი, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობისა და საბაუნის შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

მუხლი 16. განაცხადის წარდგენაზე უფლებამოსილი პირი

1. საბაუნის სახელით, საგრანტო პროექტის ინიციირება ადგილობრივ ან საერთაშორისო დონორთან წარსადგენად, დასაშვებია წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურების დაცვისა და შესაბამისი თანხმობის მიღების შემდეგ.
2. საგრანტო პროექტებში მონაწილეობისა და საგრანტო განაცხადის წარდგენის უფლება აქვს საბაუნის უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ ან/და ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტს.

მუხლი 17. საგრანტო განაცხადის წარდგენა

1. საგრანტო განაცხადის (დანართი 1.8.) მიღება შესაძლებელია როგორც ელექტრონული სახით, ელ. ფოსტაზე: info@sabauni.edu.ge - ასევე ორიგინალი დოკუმენტების წარმოდგენით კანცელარიაში: თბილისი, ვაკის რაიონი, კ. ქუთათელაძის ქ., N3.
2. თუ საგრანტო პროექტი ფინანსდება უცხოური წყაროდან და მოქმედი კანონმდებლობით საჭიროებს მთავრობის თანხმობას, პირი ვალდებულია დანართ N1.8-სთან ერთად წარმოადგინოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარსადგენი დოკუმენტაციის სრული პაკეტი.
3. თუ დონორი არის უცხოური სუბიექტი, კანცელარია დოკუმენტაციას უგზავნის იურიდიულ სამსახურს, რომელიც 5 სამუშაო დღის ვადაში ადგენს, საჭიროებს თუ არა პროექტი საქართველოს მთავრობის თანხმობას და არის თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულყოფილი.
4. იურიდიული სამსახურის დადებითი დასკვნის ან ადგილობრივი გრანტის შემთხვევაში დოკუმენტი ეგზავნება უნივერსიტეტის უწყებებს ვიზირებისთვის შემდეგი თანმიმდევრობით: შესაბამის ფაკულტეტს, უნივერსიტეტის კვლევებისა და განვითარების სამსახურს, პრორექტორს, საფინანსო სამსახურსა და კანცლერს.
5. თუ იურიდიული სამსახური დაადგენს, რომ პროექტი საჭიროებს მთავრობის თანხმობას, ხოლო პირს არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია სრულად და სიზუსტით, განმცხადებელს ეძლევა 3 სამუშაო დღე ხარვეზის გამოსასწორებლად. ხარვეზის აღმოფხვრამდე და იურიდიული სამსახურისგან დასტურის მიღებამდე ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვიზირების პროცესი არ იწყება.
6. ფაკულტეტის მხრიდან უარის მიღების შემთხვევაში განაცხადი შესაძლოა წარედგინოს პირდაპირ პრორექტორს და დადებითი პასუხის შემთხვევაში გაეგზავნოს უნივერსიტეტის კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

მუხლი 18. განცხადების განხილვის ვადა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. შემოსულ განაცხადს უნივერსიტეტი განიხილავს განაცხადის კანცელარიაში რეგისტრაციიდან 7 სამუშაო დღის ვადაში (ადგილობრივი დონორის შემთხვევაში), 12 სამუშაო დღის ვადაში (საერთაშორისო დონორის შემთხვევაში).
2. უნივერსიტეტი საგრანტო პროექტს განიხილავს და შეაფასებს იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესში მითითებულ პირობებს.
3. განცხადების დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას შესაბამისი ფაკულტეტის, აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერის, პრორექტორის, ფინანსური სამსახურისა და კანცლერის რეკომენდაციის საფუძველზე, იღებს საბაუნის რექტორი.
4. გადაწყვეტილება საგრანტო განაცხადის შემომტან პირს ეცნობება განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

5. დონორი ორგანიზაციის/მთავრობის მხრიდან დადებითი პასუხის მიღების (პროექტის დამტკიცების) შემთხვევაში, განაცხადის შემომტანი პირი ვალდებულია:
ა) დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტს პროექტის დამტკიცების შესახებ და მიაწოდოს ინფორმაცია დონორის მიერ გამოთქმული შენიშვნების/ცვლილებების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ბ) იმ შემთხვევაში, თუ პროექტი საჭიროებს საქართველოს მთავრობის თანხმობას, პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს საბოლოო სახით შესათანხმებელი დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს მთავრობის ან/და შესაბამისი უწყებების მიერ მოთხოვნილ ყველა კორექტირებას;
გ) პროექტის საბოლოო ვერსია (როგორც შინაარსობრივი, ისე ფინანსური ნაწილი) ცვლილებებზე მითითებით ხელახლა წარადგინოს ვიზირებისთვის, თუ დონორის ან მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან შესულმა ცვლილებებმა არსებითად შეცვალა თავდაპირველი განაცხადის პირობები.
6. დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, განაცხადის შემომტანი პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს დონორის (მთავრობის თანხმობის შემთხვევაში კი მთავრობის ადმინისტრაციის) თანხმობის წერილი, პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ კი - პროექტის შედეგები ამ წესის მე-17 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 19. ინდივიდუალური გრანტის შეტანის წესი

პირი ვალდებულია უნივერსიტეტს ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად მიაწოდოს ინფორმაცია ინდივიდუალური საგრანტო პროექტის ინიციირების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ პირს ესაჭიროება საბაუნისგან რაიმე ოფიციალური დოკუმენტის გაცემა (დასტური, მხარდაჭერის წერილი და სხვა).

თავი VII. სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია

მუხლი 20. სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია და ჯილდო

1. სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია/ჯილდო შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი და მას აწესებს ფაკულტეტი, სადოქტორო სკოლა ან აკადემიური საბჭო.
2. სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია/ჯილდო შეიძლება მიენიჭოს უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ან სტუდენტს თავიანთი აკადემიური და კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და აღიარების მიზნით.
3. სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია შეიძლება გაიცეს მიზნობრივადაც, კონკრეტული კვლევითი მიმართულების ან საქმიანობის წასახალისებლად.
4. სტიპენდიის/ჯილდოს გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის დეკანი, სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი ან აკადემიური საბჭო.

დანართი 1.1.

აკადემიური პერსონალის აკადემიური კვლევა

ლექსიკონის, კომენტარის ან სხვა დამხმარე სახელმძღვანელოს თანაავტორობა
ლექსიკონის, კომენტარის და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორობა
მეთოდური სახელმძღვანელოს თანაავტორობა
მეთოდური სახელმძღვანელოს ავტორობა
ქართულ ენაზე სამეცნიერო სტატიის თანაავტორობა
ქართულ ენაზე სამეცნიერო სტატიის ავტორობა
Scopus-ში ინდექსირებულ გამოცემაში გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორობა/თანაავტორობა
Web of Science-ში ინდექსირებულ გამოცემაში გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორობა/თანაავტორობა
ERIH+-ში ინდექსირებულ ჟურნალში უცხო ენაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიის ავტორობა/თანაავტორობა
უცხო ენაზე სამეცნიერო სტატიის ავტორობა/თანაავტორობა
ტექსტი ადგილობრივი კონფერენციის გამოქვეყნებულ მასალებში
ტექსტი საერთაშორისო კონფერენციის გამოქვეყნებულ მასალებში
სამეცნიერო სტატიის თარგმნა ქართულ ენაზე
სამეცნიერო სტატიის თარგმნა ქართულიდან უცხო ენაზე
წიგნის ან მონოგრაფიის თარგმნა ქართულ ენაზე
წიგნის ან მონოგრაფიის თარგმნა ქართულიდან უცხო ენაზე
ქართულ ენაზე წიგნის ან მონოგრაფიის თანაავტორობა
ქართულ ენაზე წიგნის ან მონოგრაფიის ავტორობა
უცხო ენაზე წიგნის თავის ავტორობა ან თანაავტორობა
უცხო ენაზე წიგნის ან მონოგრაფიის თანაავტორობა
უცხო ენაზე წიგნის ან მონოგრაფიის ავტორობა
ქართულ ენაზე სამეცნიერო ბროშურის[1] ავტორობა
ქართულ ენაზე სამეცნიერო ბროშურის თანაავტორობა
უცხო ენაზე სამეცნიერო ბროშურის ავტორობა/თანაავტორობა

აკადემიური პერსონალის აკადემიური განვითარება

საკონფერენციო ნაშრომის რეცენზირება
სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება
სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის/საბჭოს წევრობა
სამეცნიერო ჟურნალის მთავარი/აღმასრულებელი რედაქტორი
წიგნის ან მონოგრაფიის სამეცნიერო რედაქტირება
სამეცნიერო სტატიის რეცენზირება
საკონფერენციო ნაშრომის ხელმძღვანელობა
სადოქტორო სემინარის სამეცნიერო ხელმძღვანელობა

[1] ბროშურად მიიჩნევა 30-დან 100 გვერდამდე გამოცემა

საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა
სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა
სადოქტორო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელობა
სამაგისტრო ნაშრომის საკვალიფიკაციო კომისიის წევრობა
სასემინარო ნაშრომის საკვალიფიკაციო კომისიის წევრობა
სადოქტორო ნაშრომის/კოლოკვიუმის/სემინარის საკვალიფიკაციო კომისიის წევრობა
ასისტენტი დოქტორანტის ხელმძღვანელობა/მენტორობა
საკონფერენციო კომისიის წევრობა
ადგილობრივი კვლევითი სტიპენდია
სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო კვლევითი სტიპენდია
კვლევითი გრანტის პროექტის დაწერა და განაცხადის გაკეთება
ადგილობრივ კვლევით საგრანტო პროექტში მონაწილეობა
ადგილობრივი კვლევითი საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა
საერთაშორისო კვლევითი გრანტის პროექტის დაწერა და განაცხადის გაკეთება
საერთაშორისო კვლევით საგრანტო პროექტში მონაწილეობა
საერთაშორისო კვლევითი საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა
ERASMUS+, სასწავლო ან კვლევით გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა
ადგილობრივი კონფერენციის/სემინარის/სადისკუსიო პანელის ორგანიზება
ადგილობრივ კვლევით სემინარში/სადისკუსიო პანელში მონაწილეობა
ადგილობრივ კონფერენციაში მონაწილეობა და მოხსენებით გამოსვლა
საერთაშორისო კონფერენციის/სემინარის/სადისკუსიო პანელის ორგანიზება
საერთაშორისო კვლევით სემინარში/სადისკუსიო პანელში მონაწილეობა
საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა და მოხსენებით გამოსვლა
კვლევითი ცენტრის/ინსტიტუტის ხელმძღვანელობა
სასწავლო ერთეულის ხელმძღვანელობა

დანართი 1.2.

მინიმალური ჯამური სამეცნიერო დატვირთვა

	2 წელიწადში ერთხელ	4 წელიწადში ერთხელ
პროფესორი	სტატია უცხოურ ენაზე უცხოურენოვან ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია ERIH+-ის სამეცნიერო ბაზებში	სტატია უცხოურ ენაზე უცხოურენოვან ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის სამეცნიერო ბაზებში ან თავი უცხოურ ენაზე უცხოურენოვან კრებულში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის სამეცნიერო ბაზებში ან უცხოურ ენაზე მონოგრაფია, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო გამომცემლობის ან უნივერსიტეტის მიერ და ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებსა და რეპოზიტორიუმებში.

	3 წელიწადში ერთხელ	5 წელიწადში ერთხელ
ასოცირებული პროფესორი	სტატია უცხოურ ენაზე უცხოურენოვან ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია ERIH+-ის სამეცნიერო ბაზებში	სტატია უცხოურ ენაზე უცხოურენოვან ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის სამეცნიერო ბაზებში

		ან თავი უცხოურ ენაზე უცხოურენოვან კრებულში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის სამეცნიერო ბაზებში ან უცხოურ ენაზე მონოგრაფია, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო გამომცემლობის ან უნივერსიტეტის მიერ და ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებსა და რეპოზიტორიუმებში.

ასისტენტ-პროფესორი	3 წელიწადში ერთხელ	3 წელიწადში ერთხელ
	სტატია უცხოურ ენაზე უცხოურენოვან ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია ERIH+-ის სამეცნიერო ბაზებში	სტატია ქართულ ენაზე აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ ჟურნალებში ან თავი სტატიათა კრებულში.

დანართი 1.3.

სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის აკადემიური საქმიანობის შეფასება

ღონისძიება		შეფასება (ქულა)
აკადემიური განვითარება		
1.	სადისკუსიო პანელი	3
2.	სემინარი	3
3.	კონფერენცია	7
4.	საჯარო ლექცია	2
5.	სამუშაო შეხვედრა	2
6.	საერთაშორისო სადისკუსიო პანელი	4
7.	საერთაშორისო სემინარი	4
8.	საერთაშორისო კონფერენცია	15
9.	საერთაშორისო საჯარო ლექცია	4
10.	საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა	4
11.	კვლევითი საგრანტო პროექტის დაწერა და განცხადების გაკეთება	20
12.	კვლევითი საგრანტო დაფინანსების მოპოვება	60
აკადემიური კვლევა		
მეთოდური და დამხმარე სახელმძღვანელო		**ქულა**
1.	ლექსიკონი, კომენტარი ან/და სხვა დამხმარე სახელმძღვანელო	50
2.	მეთოდური სახელმძღვანელო	25
სამეცნიერო-მთარგმნელობითი საქმიანობა		**ქულა**
3.	წიგნის ან მონოგრაფიის ქართულენოვანი თარგმანი	60
4.	სამეცნიერო ბროშურის ქართულენოვანი თარგმანი	20
5.	წიგნის ან მონოგრაფიის უცხოენოვანი თარგმანი	75
6.	სამეცნიერო ბროშურის უცხოენოვანი თარგმანი	35

ჟურნალი, წიგნი ან მონოგრაფია		ქულა
7.	ქართულენოვანი სამეცნიერო ჟურნალი	40
8.	უცხოენოვანი სამეცნიერო ჟურნალი	60
9.	ქართულენოვანი სამეცნიერო ბროშურა	20
10.	უცხოენოვანი სამეცნიერო ბროშურა	35
11.	ქართულენოვანი წიგნი	65
12.	უცხოენოვანი წიგნი	80

დანართი 1.4.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

სახელი და გვარი		
თანამდებობა		
ფაკულტეტი		
სასწავლო წელი		
ციტირების ინდექსი	*h (google)*	
	h (scopus)	

აკადემიური კვლევა

სტატია უცხოურ ენაზე უცხოურენოვან ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია ERIH+-ის ან Index Copernicus-ის სამეცნიერო ბაზებში

N	ნაშრომის ტიპი	ნაშრომის ავტორი	გამოცემა/გამომცემლობა/ტომი/ნომერი/ISBN/ISSN/სხვა საიდენტიფიკაციო რეკვიზიტები	წელი	გვერდები	DOI (ან ვებგვერდის მისამართი, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სამეცნიერო ბაზა, გამოცემის ინდექსაციის შემთხვევაში

სტატია/თავი უცხოურ ენაზე უცხოურენოვან ჟურნალში/კრებულში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის სამეცნიერო ბაზებში

N	ნაშრომის ტიპი	ნაშრომის ავტორი	გამოცემა/გამომცემლობა/ტომი/ნომერი/ISBN/ISSN/სხვა საიდენტიფიკაციო რეკვიზიტები	წელი	გვერდები	DOI (ან ვებგვერდის მისამართი, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სამეცნიერო ბაზა, გამოცემის ინდექსაციის შემთხვევაში

უცხოურ ენაზე მონოგრაფია, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო გამომცემლობის ან უნივერსიტეტის მიერ და ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებსა და რეპოზიტორიუმებში

N	ნაშრომის ტიპი	ნაშრომის ავტორი	გამოცემა/გამომცემლობა/ტომი/ნომერი/ISBN/ISSN/სხვა საიდენტიფიკაციო რეკვიზიტები	წელი	გვერდები	DOI (ან ვებგვერდის მისამართი, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სამეცნიერო ბაზა, გამოცემის ინდექსაციის შემთხვევაში

სტატია ქართულ ენაზე აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ ჟურნალებში ან თავი სტატიათა კრებულში

N	ნაშრომის ტიპი	ნაშრომის ავტორი	გამოცემა/გამომცემლობა/ტომი/ნომერი/ISBN/ISSN/სხვა საიდენტიფიკაციო რეკვიზიტები	წელი	გვერდები	DOI (ან ვებგვერდის მისამართი, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სამეცნიერო ბაზა, გამოცემის ინდექსაციის შემთხვევაში

სხვა ნაშრომი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ დასახელებებში ვერ მოხვდა

N	სხვა ნაშრომის ტიპი	ნაშრომის ავტორი	გამოცემა/გამომცემლობა/ტომი/ნომერი/ISBN/ISSN/სხვა საიდენტიფიკაციო რეკვიზიტები	წელი	გვერდები	DOI (ან ვებგვერდის მისამართი, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სამეცნიერო ბაზა, გამოცემის ინდექსაციის შემთხვევაში

აკადემიური განვითარება

N	აქტივობა	აქტივობის სახელწოდება	აქტივობის საიდენტიფიკაციო მონაცემები (სტატუსი/ორგანიზატორი/ჩატარების ადგილი/პროგრამა და ა.შ.)	წელი

დანართი 1.5.

სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის სახელწოდება			
ფაკულტეტი			
სასწავლო წელი			
სამეცნიერო პროდუქტიულობის ჯამური ქულა	აკადემიური გამოქვეყნებები		
	აკადემიური კვლევა და განვითარება		

აკადემიური გამოქვეყნებები

1. მეთოდური და დამხმარე სახელმძღვანელო

მეთოდური სახელმძღვანელო						
N	ნაშრომის ავტორი/თანაავტორი	ნაშრომის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი და გამოცემის ენა	ISBN	ელექტრონული ბმული (არსებობის შემთხვევაში)	ქულა
1						

					ჯამური ქულა	
ლექსიკონი, დამხმარე სახელმძღვანელო						
N	ნაშრომის ავტორი/თანაავტორი	ნაშრომის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი და გამოცემის ენა	ISBN	ელექტრონული ბმული (არსებობის შემთხვევაში)	ქულა
1						
					ჯამური ქულა	

2. ჟურნალი, წიგნი ან მონოგრაფია

სამეცნიერო ჟურნალი								
N	ავტორი/თანაავტორი	სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება	ჟურნალის კრებულის სახელწოდება	გამოცემის წელი, ნომერი, ISSN/ISBN	გამოცემის ენა	DOI (არსებობის შემთხვევაში)	SCOPUS/Web of Science/ERIH + (ჩაწერეთ ჟურნალის ინდექსაციის შემთხვევაში)	ქულა
1								
						ჯამური ქულა		

სამეცნიერო ბროშურა							
N	ავტორი/თანაავტორი	სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი	გამოცემის ენა	ISBN	DOI (არსებობის შემთხვევაში)	ქულა
1							
						ჯამური ქულა	

წიგნი							
N	ავტორი/თანაავტორი	სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი	გამოცემის ენა	ISBN	DOI (არსებობის შემთხვევაში)	ქულა
1							
						ჯამური ქულა	

3. სამეცნიერო-მთარგმნელობითი საქმიანობა

წიგნის , მონოგრაფიის თარგმანი								
N	ნაშრომის ავტორი/ თანაავტორი, სახელწოდება	მთარგმნელი/ თანამთარგმნელი	თარგმანის ენა	ჟურნალი/სტატიათა კრებული, რომელშიც თარგმანი გამოქვეყნდა	გამოცემის წელი, ნომერი, ISSN/ISBN	თარგმნილი გვერდების რაოდენობა	DOI (არსებობის შემთხვევაში)	ქულა

1								
ჯამური ქულა								

აკადემიური კვლევა და განვითარება

ღონისძიებები								
N	ღონისძიების ტიპი	ღონისძიების სახელწოდება	ღონისძიების სტატუსი (ადგილობრივი/ საერთაშორისო)	ღონისძიების ორგანიზატორი	მონაწილის სტატუსი	ღონისძიების ჩატარების თარიღი და ადგილი	მოხსენების სათაური *(ივსება მხოლოდ მოხსენებით გამოსვლის შემთხვევაში)*	ქულა
1								
ჯამური ქულა								

დანართი 1.6.

საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის შეფასების კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმი	ქულა	აღწერა
პროექტის სიახლე და ინოვაციურობა	**30**	კვლევის ორიგინალურობა, არსებული ცოდნის გაღრმავება, ახალი მიდგომების/მეთოდოლოგიის გამოყენება.
კვლევის მეთოდოლოგია და ინტერდისციპლინურობა	**30**	კვლევითი დიზაინის ადეკვატურობა, სხვადასხვა სამეცნიერო დარგების ინტეგრაციის ხარისხი და ინტერდისციპლინური პოტენციალი.
ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები	**30**	უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, კვლევის შედეგების საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, საერთაშორისო ბაზებში პუბლიკაციის პოტენციალი.
პროექტის განხორციელებადობა და ბიუჯეტი	**10**	სამუშაო გეგმის რეალურობა, ეტაპების თანმიმდევრულობა, ფინანსური რესურსების მიზნობრივი განაწილება.
სულ	**100**	

დანართი 1.7.

საგამომცემლო საგრანტო განაცხადი

განმცხადებლის შესახებ ინფორმაცია	
სახელი, გვარი	
აკადემიური თანამდებობა/სტატუსი	
ფაკულტეტი/სტრუქტურული ერთეული:	
საკონტაქტო ინფორმაცია	
ნაშრომის შესახებ ინფორმაცია	
ნაშრომის სათაური	
ნაშრომის ტიპი (მონოგრაფია, სახელმძღვანელო და სხვ.)	
სამეცნიერო მიმართულება	
თანაავტორი/ები (არსებობის შემთხვევაში)	
ნაშრომის ანოტაცია (300–500 სიტყვა)	
დასაბუთება (ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება; საგანმანათლებლო მნიშვნელობა; ინსტიტუციური მნიშვნელობა უნივერსიტეტისთვის)	
ნაშრომის სტრუქტურა (სარჩევი)	
გამოცემის გეგმა	
ვადები	

გამომცემლობა (არსებობის შემთხვევაში)	

ნაშრომის მზადყოფნის დონე

☐ დასრულებულია

☐ პროცესშია (მიუთითეთ %)

დანართები

☐ ნაშრომის ნიმუში

☐ CV

☐ დამატებითი დოკუმენტაცია

დანართი 1.8.

უნივერსიტეტის ან მასთან დაკავშირებული პირის სახელით საგრანტო განაცხადის წარდგენის ფორმა

დონორი ორგანიზაციის დასახელება	
კონკურსის ბმული	
პროექტის სახელი	
პროექტის განხორციელების ვადები (დაწყებისა და დასრულების თარიღები, ხანგრძლივობა)	
საპროექტო წინადადების აღწერა (მიზნების, აქტივობებისა და მათი განხორციელების პერიოდების მითითებით)	
პროექტის მენეჯერი საბაუნიში	
პროექტის კოორდინატორი უნივერსიტეტი/ორგანიზაცია	
პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტი/უნივერსიტეტები	
პროექტის ტიპი ინსტიტუციური / ინდივიდუალური	
ბიუჯეტის სტრუქტურა პროექტის საერთო ბიუჯეტი (სავარაუდო) თანადაფინანსება (ასეთის არსებობისას)	
თანხმობის საჭიროება გთხოვთ, მიუთითოთ, საჭიროებს თუ არა აღნიშნული გრანტი მთავრობის თანხმობას. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ამ ფორმასთან ერთად სავალდებულოა მთავრობის	

დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის თანდართვა.	
პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტი/ ორგანიზაცია	
მატერიალური რესურსი გთხოვთ, მიუთითოთ, ესაჭიროება თუ არა პროექტს უნივერსიტეტის სივრცე ან ინვენტარი	
ადამიანური რესურსი და მხარდაჭერა გთხოვთ, მიუთითოთ, ესაჭიროება თუ არა პროექტს უნივერსიტეტის მხარდაჭერა (უნივერსიტეტის მიერ მისაწოდებელი დოკუმენტების ჩამონათვალი, უნივერსიტეტის პერსონალის ჩართულობის საჭიროების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.)	
დამატებითი ინფორმაცია	

ხელმოწერა:

თარიღი: